საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ბერიკაცი ვარ“

„ბერიკაცი ვარ“, ქართული ხალხური (ქართლ-კახური) ეპიკური სიმღერა.

საფუძვლად უდევს „როსტომიანის“ ერთ-ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, როსტომისა და ზურაბის შერკინების ამბავი. დროთა განმავლობაში ტექსტში შეიტანეს სიმღერისათვის შეუსაბამო სტრიქონები. სიმღერა სრულდება სუფრასთან. ბურდონული სამხმიანობის ნიმუშია – მასში ზედა ორი ხმის მელოდია პოლიფონიურად ვითარდება ბურდონული ბანის ფონზე.

ი. ჟორდანია